

თბილისი

2014 წ.

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს მთავრობის კანცელარიას, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსა და სსიპ -  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორის

საქართველოს მთავრობის კანცელარია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო  
სამსახურის ბიურო და სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში  
„მხარეებად“ წოდებული), ანიჭებენ რა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს  
მთავრობის კანცელარიას, საჯარო სამსახურის ბიუროსა და სსიპ - სამცხე-ჯავახეთის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის დამყარებასა  
და განვითარებას;

აღიარებენ რა თითოეული მხარის ინტერესს, ხელი შეუწყონ სტუდენტებისათვის  
საგანმანათლებლო სივრცის განვითარებას;

ეყრდნობიან რა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, თანხმდებიან  
შემდეგზე:

### მუხლი 1

ამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (შემდგომში – მემორანდუმი), მხარეები  
თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,  
გამოხატავენ და ადგენენ, განათლების სფეროში საქართველოს პრემიერ-მინისტრის  
ინიციატივების განხორციელების საერთო მზადყოფნას.

### მუხლი 2

თავიანთი მიზნების განსახორციელებლად, მხარეები ითანამშრომლებენ იმისათვის, რომ  
ხელი შეუწყონ:

1. საზღვარგარეთ პროფესიული ცოდნის ამაღლების მსურველთა დაფინანსებას  
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლისათვის;
2. განათლების მიღების შესაძლებლობის ყველასათვის ხელმისაწვდომობას;

3. საჯარო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას;
4. სტაჟირების ერთიანი სტანდარტის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სექტორში დასაქმების მსურველთათვის ჯანსაღი კონკურენციის შექმნასა და საჯარო სამსახურში დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
5. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
6. დასაქმების თანაბარი პირობების შექმნას, როგორც რეგიონებში მცხოვრები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.

#### **მუხლი 3**

მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ, ითანამშრომლონ სხვა საკითხებში თითოეული მხარის ინტერესების შესაბამისად.

#### **მუხლი 4**

საჭიროების შემთხვევაში, მხარეები ცალკე შეათანხმებენ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის საჭიროების შემთხვევაში, მხარეები ცალკე შეათანხმებენ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტითან გასაფორმებელი ხელშეკრულების დეტალებს, მათ შორის სახარების ფარგლებს, ფორმებს, ფინანსურ, ადმინისტრაციულ და სხვა საკითხებს. თანამშრომლობის ფარგლებს, ფორმებს, ფინანსურ, ადმინისტრაციულ და სხვა საკითხებს.

#### **მუხლი 5**

მემორანდუმი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. თითოეულ მხარეს შეუძლია, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება, მხარეებისათვის 15 (თხუთმეტი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

#### **მუხლი 6**

მემორანდუმში შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები ძალაში შედის სამმხრივად ხელმოწერის დღიდან.

#### **მუხლი 7**

მემორანდუმი ძალაში შედის სამმხრივად ხელმოწერის დღიდან.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის

უფროსის მოადგილე

ნინო კობახიძე

სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი

ეკატერინე ქარდავა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორი

მერაბ ბრიძე